



შპს ქართული პროდუქტი

ს.კ.:427728015; მისამართი:გურჯაანის რ-ნი ს.ველისციხე; [TEL:+995 598 41 42 47](tel:+995598414247)

შპს ქართული პროდუქტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 427728015

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ქ.გურჯაანი

30.09.2023წ



შპს ქართული პროდუქტი

ს.კ.:427728015; მისამართი:გურჯაანის რ-ნი ს.ველისციხე; [TEL:+995 598 41 42 47](tel:+995598414247)

შინაარსი

- ფინანსური მდგომარეობა----- 3-4;
- საქმიანობის შედეგები----- 5-6;
- ფულადი სახსრების მოძრაობა----- 7;
- ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები, შენიშვნები ----- 8-12;

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	112,818.00	766,561.00	727,702.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,180.00	136,734.00	345,956.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	16,326.00	196,542.00	264,732.00
მარაგები	119,051.00	332,285.00	145,599.00
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	119,051.00	332,285.00	145,599.00
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	316,315.00	45,238.00	48,337.00
თვითღირებულების მოდელით	-	45,238.00	48,337.00
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	377.00	435.00	493.00
ძირითადი საშუალებები	1,960,150.00	1,373,830.00	1,231,423.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	2,628,217.00	2,851,625.00	2,764,242.00

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	619,960.00	1,045,289.00	177,403.00
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	500,000.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,763,263.00	1,237,986.00	1,458,419.00
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	2,383,223.00	2,283,275.00	2,135,822.00

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	244,994.00	568,350.00	628,420.00
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	244,994.00	568,350.00	628,420.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,628,217.00	2,851,625.00	2,764,242.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	667,690.00	1,432,122.00	1,534,778.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	619,960.00	1,045,289.00	177,403.00

შპს ქართული პროდუქტის:

დირექტორი:  /გ.გელაშვილი/

ბუღალტერი:  /გ.ბეროშვილი/



შპს "ქართული პროდუქტი"-საქმიანობის შედეგები 2020-2021 წელი

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4,859,660.00	6,236,432.00
საქონლის გაყიდვიდან	4,859,660.00	6,236,432.00
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(4,062,633.00)	(5,455,748.00)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	797,027.00	780,684.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	129,741.00	111,745.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(376,864.00)	(262,695.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(132,137.00)	(114,394.00)
საპროცენტო შემოსავალი	-	212.00
საპროცენტო ხარჯი	(138,545.00)	(118,700.00)
იჯარის ხარჯი	(56,658.00)	(59,710.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(534,390.00)	(396,238.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,238,594.00)	(839,780.00)
საოპერაციო მოგება	(311,826.00)	(59,096.00)

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(11,530.00)	(474.00)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	(500.00)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(323,356.00)	(60,070.00)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(323,356.00)	(60,070.00)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	(60,070.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	568,350.00	628,420.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	244,994.00	568,350.00

შპს ქართული პროდუქტის:

დირექტორი:

/გ.გელაშვილი/

ბუღალტერი:

/გ.ბერიშვილი/



შპს "ქართული პროდუქტი" ფულადი სახსრების მოძრაობა 2021-2022წელი

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,167,490.00)	767,542.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	525,277.00	(728,209.00)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-	39,333.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(11,530.00)	(474.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	766,561.00	727,702.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	112,818.00	766,561.00

შპს ქართული პროდუქტის:

დირექტორი:

/გ.გელაშვილი/

ბუღალტერი:

/გ.ბეროშვილი/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები, შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „ქართული პროდუქტი“-ს შესახებ

შპს „ქართული პროდუქტი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 18 მაისი 2016 წელს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, გურჯაანი ს.ველისციხე ;

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, გურჯაანი ს.ველისციხე;

დამფუძნებლები: გელა გელაშვილი, პირადი #: 13001013276, 100% წილის მმართველი;

ხელმძღვანელი: დირექტორი-გელა გელაშვილი პირადი #13001013276;

შპს „ქართული პროდუქტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეფრინველეობა, მეხორცული ჯიშის შინაური ფრინველის მოშენება, კერძოდ კომპანია ფლობს საკუთრებისა და გრძელვადიანი იჯარის ფორმით გურჯაანის რაიონში მდებარე რამდენიმე მეფრინველეობის ფერმას, ახდენს ახალშობილი წიწილის შესყიდვას მის გაზრდას და შემდგომ რეალიზაციას, შპს ქართული პროდუქტი ასევე ფლობს მეფრინველეობის სასაკლაოს, სადაც ხდება შინაური ფრინველის დაკვლა, გასუფთავება, დაფასოება და სარეალიზაციოდ მომზადება.

2021 წლიდან შპს-მ დაიწყო ასევე შინაური მწყერის მოშენება, მისი დასაკლავ კონდიციამდე მიყვანისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ასევე ხდება მწყერის კვერცხის წარმოება და რეალიზაცია.

ორგანიზაცია ჩართულია სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სააგენტოს პროექტში, რომლის ფარგლებშიც მოხდა იაფი აგროკრედიტის აღება, რათა მომხდარიყო ზემოთ აღნიშნული ფერმების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია.

შპს „ქართული პროდუქტი“-ს აღებული აქვს შპს „აგროჰაბი“-გან, გრძელვადიანი კრედიტი რითაც მოხდა საწარმოსათვის შენობა-ნაგებობის რემონტი, ასევე წარმოების დასაწყებად აუცილებელი ნედლეულისა და მასალების შეძენა.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ დაიწყო ქათმის კვერცხის წარმოება. განხორციელდა მეფრინველეობის ფერმის მშენებლობა, რომელიც აღიჭურვა სრულიად თანამედროვე ევროპული სტანდარტების საწარმოო სრულად ავტომატიზირებული საწარმოო ხაზით, ასევე მოხდა მეკვერცხული ჯიშის ფრინველის იმპორტი თურქეთის რესპუბლიკიდან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ქართული პროდუქტი“-ს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: -საქართველის კანონი „მეწარმეთა შესახებ“; -საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; -ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არ არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 31 დეკემბერი. საწარმომ მსს ფასსის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით.

4. ფული და ფულის კომპონენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ს.კ.:427728015; მისამართი: გურჯაანის რ-ნი ს.ველისციხე; [TEL:+995 598 41 42 47](tel:+995598414247)
კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების
ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს
	31.12.2022
აშშ დოლარი	2.7020 ლარი
ევრო	2.8840 ლარი

კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული
შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

კომპანიის ფულადი სახსრები (ლარში) სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

ნაღდი ფული სალაროში	44877.86
ფული საბანკო ანგარიშებზე	67940.61

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე
აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი და
სხვა ვალდებულებების სახით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ
პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის
საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები.
შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება
საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

საწარმო ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს რომელთა აღრიცხვა წარმოებს ასევე თვითღირებულების მეთოდით, ყოველწლიურად ხდება სასასქონლო მარაგებისა და

ბიოლოგიური აქტივების გატესტვა გადაფასება, და შესაბამისი შედეგის მოგება/ ზარალში აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2022 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადხელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღირიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება,თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

შპს ქართული პროდუქტის:

დირექტორი:

/გ.გელაშვილი/

ბუღალტერი:

/გ.ბეროშვილი/

